ტექსტის რედაქტირება

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი. გაასწორეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტური ხარვეზები და ისე გადაწერეთ მთელი ტექსტი, რომ მისი შინაარსი არ შეცვალოთ.

გაითვალისწინეთ, ქულები დაგაკლდებათ თქვენ მიერ გადაწერილ ტექსტში დაშვებული თითოეული შეცდომის, ხარვეზისა თუ უზუსტობის გამო.

თუ ამოიწერთ მხოლოდ ცალკეულ ფორმებსა და შესიტყვებებს ან რამდენიმე წინადადებას, ნაშრომი არ შეფასდება.

(16) **1.** ოლღა ალექსანდრეს ასული გურამიშვილი ილია ჭავჭავაძის მეუღლის უახლოესი ნათესავი და მისივე ნათლული იყო. თბილისის ქალთა გიმნაზიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი სწავლობდა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში. ამ პერიოდში ოლღა ესწრებოდა პროფესორ თარხნიშვილის ლექციებს ბუნებისმეტყველებაში.

გაზეთ „დროების“ გარშემო თავმოყრილმა მოწინავე ქართველობამ მიზნად დაისახეს ახალგაზრდა ქალების ხელშეწყობა რათა მათ უმაღლესი განათლების მისაღებათ ევროპაში გამგზავრება შეძლებოდათ. მიუხედავად მშობლების წინააღმდეგობისა 17 წლის ოლღა სახლიდან გაიპარა და სხვის პასპორტით გაემგზავრა შვეიცარიაში ქალაქ ციურიხში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ოლღა ასწავლიდა თბილისის ვაჟთა გიმნაზიაში. იგი იყო ერთ-ერთი პირველი ქალი მასწავლებელი რუსეთის იმპერიაში. მას თვით იაკობ გოგებაშვილმა გაუწია რეკომენდაცია. 1883 წელს ოლღა გურამიშვილმა ნიკო ნიკოლაძეზე დაიწერა ჯვარი. ახალდაქორწინებულები პეტერბურგში გაემგზავრნენ რადგან ნიკო იქ იყო გადასახლებული. საქართველოში დაბრუნებული ნიკოლაძეები დიდ ჯიხაიშში დასახლდნენ. ოლღამ აქ გახსნა ქალთა პირველი სკოლა სადაც იგი ტექნიკის სიახლეებს აცნობდა მოსწავლეებს რადგან მათ შესაძლებლობა ჰქონოდათ, რომ სოფლის მეურნეობა უკეთ გაენვითარებინათ. იგი ახალგაზრდებისათვის ახდენდა აბრეშუმის ჭიის მოვლამოყვანის, ხალიჩებისა და ფარდაგების ქსოვის სწავლებას.

წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტიდან ერთ-ერთი და დავალებები მხოლოდ ამ ტექსტის მიხედვით შეასრულეთ!

ტექსტი I.

ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „ოთარაანთ ქვრივი“:

ეს ხასიათი დასჩემდა გიორგისა, – თავისი იყო თუ სხვისა, – თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა. ბევრს ამისათვის არ მოსწონდა გიორგი. კაცო, რა უნდა, სხვის საქმეში რად ერევაო?.. ამ ხასიათმა ბევრი ხიფათი შეამთხვია... ამას წინად – სულ ორი კვირა არ იქნება – კინაღამ სოფლის სასამართლომ გომურში არ ჩაამწყვდია. ერთი უცნაური და დაუჯერებელი ამბავი ჩაედინა.

გიორგი ტყეში ყოფილიყო ჭიგოს საჭრელად. ომარაანთ მოჯამაგირე ენახა ტყეში. თურმე ურემი გამოუტანებიათ შეშისათვის და ის კი ჩრდილში წამოწოლილიყო და ლაზათიანად ჰხვრინავდა. ეს კიდევ არაფერი. კამეჩები წნელით გამოება ურემზე. საცოდავი პირუტყვები იქავ ურმის თვალთან ეყარნენ და ზარმაცად იცოხნებოდნენ უილაჯობით.

გიორგი თურმე ზედ მიადგა მოჯამაგირეს... ფეხი წაჰკრა გასაღვიძებლად.

– ადე, ძმობილო, აუშვი ე კამეჩები, ცოდონი არიან.

– შენ რა ჩემი ფეხები გინდა, – დაუყვირა მოჯამაგირემ, როცა თვალები წამოაჭყიტა.

– თითონ რომ არ ვარგიხარ, შენი ფეხები ვისთვის რის მაქნისია. კამეჩები ცოდონი არიან-მეთქი.

– მერე შენ რა გეპრიანება?

– ის მეპრიანება, რომ არამია შენთვის ჯამაგირი. ვთქვათ პატრონს ატყუებ და ატყუებ, ე პირუტყვი მაინც არ გენანება, ქრისტიანი არა ხარ, მაგათი ცოდო მაინც არ გწვავს!.. მიგიღძვია საცოდავები წნელით ურემზედ, შიმშილით ფერდები ჩასცვივნიათ.

– მაშ არადა თავზედ დავისვამდი.

– დაისვამდი, მე ვიცი, მაგ ქეციან თავზედ ბევრს კი მოსძოვდნენ, აი!.. ვერა ჰხედავ, ტყეში ბალახი მუხლამდეა! ფასი ხომ არ გაგივა, გაგეშო, პირი მოეტყუებინათ.

– გამეშო-რა, მუქთი ფეხები მაქვს, მაგათ ძებნაში მერე სული ამომრთმევოდა.

– აი, შე უნამუსო! აქაო და არავინა მხედავსო, ნამუსის ქუდი აგიხდია და ლაფში გადაგიგდია. შენს ღმერთს რაღას ეუბნები! აქაო და კამეჩი პირუტყვია, შებრალება არ უნდა, თუნდაც სხვის ამანათი, სხვის მონაბარი არ იყოს?

– მერე შენ რა? ვისი ტიკი-ტომარა ხარ. შენი მოჯამაგირე ხომ არა ვარ?

– აი გაქრეს, გიორგიმ შენისთანა კაცი ახლოს არ მიიკაროს!! ჩემი რომ იყო, ცარიელ პურის ჭამის ფასადაც არ შეგინახავდი. ადე-მეთქი!..

– დამეხსენ... შენ შენს წერას ხომ არ აუტანიხარ, რატომ ეგრე არახუნებ. თუ ზურგი არა გქავა, შენ შენს გზაზედ წადი-მეთქი, თორემ...

– თორემ... მე ვიცი, ყურებზედ ხახვი არ დამაჭრა. ადე-მეთქი, ამ პირუტყვების ცოდვაში ნუ სდგები, თორემ ამ ჭიგოს ხომ ჰხედავ?..

გიორგიმ ამის თქმაზედ ფეხი კიდევ წაჰკრა. მოჯამაგირე გულზე მოვიდა. წამოუხტა ზეზე. გიორგის წინ აეტუზა, გულ-მკერდი გადმოუგდო და მიუშვირა, თითქო ეუბნება: აბა, ეს მე და ეს შენ, დამკარ თუ კაცი ხარ და ქუდი გხურავსო.

გიორგის მოეწონა ამისთანა სითამამე მოჯამაგირისა, მაგრამ უკვირდა, – რის იმედითაო.

– რა ვქნაო, – სთქვა გულში გიორგიმ, – თუ ეს მართლა ვაჟკაცია, საქმეს არ უღალატებდა, პირუტყვს შეიბრალებდა, და თუ ვაჟკაცი არ არის, რატომ ესე გაბედულად მომიშვირა გულ-მკერდი და თავმოწონებით ალვის ხესავით წინ გამემართაო.

– თუ კაცი ხარ და თითს დამაწებ!.. მაშინ ნახავ შენს სეირს, – უთხრა გულმკერდმოღერებულმა მოჯამაგირემ.

მუქარა იწყინა გიორგიმ. აღარც აცია, აღარც აცხელა, ეცა, წამოჰკრა სარმა და თუმცა ვერ დასცა, წააბარბაცა კი და ცალი ხელი დააბჯენინა დედამიწაზედ. წამოუხტა ფიცხლავ მოჯამაგირე, დაეტაკა გიორგის და ჰკრა გულისპირში ხელი. გიორგი შეტოკდა და გადაიზნიქა უკან.

– ბიჭო!.. შენ აღარა ხუმრობ, – დაუძახა გიორგიმ, ჭიგო ხელიდამ გააგდო და შეძიძგილავდნენ.

გიორგიმ ბევრი აღარ აცალა: ჰკრა მოგვერდი და გააკრა დედამიწას, როგორც შოთი თონესა. წაქცეულს ხელიც არ დააკარა. მოჯამაგირემ დამარცხება ძალიან ითაკილა, – ისიც თავმოწონებული ბიჭი იყო, – წამოუხტა და ერთი ლაზათიანი სილა გაუშალა გიორგის უეცრად. როგორ თუ სილაო, მივარდა გიორგი, ამოიდო ქვეშ და იმდენი სცემა, რომ მოჯამაგირემ ხვეწნა დაუწყო.

– წადი, საცა შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავიწყდებაო, – უთხრა გიორგიმ, – და ღმერთს კი არსად წაუხვალ ამ პირუტყვების ცოდვითაო.

თქმა არ უნდა, რომ გიორგისაგან გაბოროტებულმა მოჯამაგირემ თავისი ცემა შესჩივლა ომარაშვილსა.

– რადა გცემაო? – ჰკითხა ომარაშვილმა.

– მაგდენს რად უდებ ურემსაო? ან საქონელი არ გეცოდება, ან შენი თავიო!.. ეგეც რომ არ იყოს, სხვასაც ხომ მაგდენს მოსთხოვენო: ვთქვათ, შენ შეგიძლიან, სხვა მაინც არ გეცოდებაო. მომდგა ამაზედ და ჭიგო ზედ დამალეწა. შენც დედა და მამა საფლავში არ დაგიყენა. აქაო-და ჯამაგირს იძლევა, სულს ხომ არ ამოგართმევს ადამიანსაო.

– ბიჭო-და, მაგდენი არა გედო-რა ურემზე!

– ეგა სთქვი-და!.. მეც ეგ არ მიკვირს, რა მოეჩვენა იმ ოჯახდაქცეულსა! მე კი ასე შემაქცია-და!..

ომარაშვილი გავლენიანი კაცი იყო სოფელში, ითაკილა, მოჯამაგირე როგორ გამილახა იმ გუშინდელმა ჭყლინტმაო. წაიყვანა მოჯამაგირე და სოფლის სასამართლოში აჩივლა. თითონაც, რასაკვირველია, წაექომაგა.

– მოწმე გყავსო? – ჰკითხეს მოჯამაგირეს.

– ოთარაანთ გიორგის რა მოწმე უნდა? ღმერთმანი, იტყუებს-და!.. – სთქვა ვიღაცამ.

– მაგას კი მართალს ამბობს, – სთქვა ერთმა მოსამართლემ, – ის ტყუილს არ იტყვის, პირიანი ბიჭია.

კვირა დღეს დაიბარეს გიორგი.

– მართლა სცემე? – ჰკითხეს.

– მართლა ვცემე.

– რადაო?

გიორგიმ ყველაფერი უამბო.

– ბიჭო-და, შენ რა დავა გქონდა?

– ის დავა მქონდა, რომ მაგისთანა ნამუსახდილ კაცისაგან ქვეყანაა დაღუპული. კაცი კაცს ვეღარა ჰნდობია. მაგის გამოისობით კარგ მოჯამაგირესაც ნამუსი აქვს გატეხილი. თითონ ხომ ეძინა და ეძინა, კამეჩებიც მიეღრძო ურემზედ. იმათ საცოდაობამ დამწვა, სხვა არა იყოს-რა.

თქვენი მტერი იყოს, მოსამართლეებს დღე დაადგათ. ომარაშვილის გულის მოგებაც უნდოდათ, ერთს სადილს მაინც გვაჭმევსო; ოთარაანთ ქვრივისაც ეშინოდათ, გუბერნატორამდის ივლისო.

თუნდ ეგეც არ ყოფილიყო, გული გიორგისაკენ უწევდათ, თუმცა ცემა კი ცემად ედგათ თვალწინ. არ იცოდნენ, გულს აჰყოლოდნენ, ოთარაანთ ქვრივის შიშსა, თუ ომარაშვილის ხათრსა.

ომარაშვილმა დაიხსნა გაჭირვებისაგან სამართალი.

– მე ჩემდა თავად მიპატიებია გიორგისათვის, – სთქვა ამან, – და სხვამ თავისი იცის. ყოჩაღ ბიჭო, მე და ჩემმა ღმერთმა. ყოჩაღ!..

– მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობს, – სთქვეს მოსამართლეებმა და დაითხოვეს შინ გამართლებული გიორგი.

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) **2. რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება ეს ნაწარმოები?**

ა) მოდერნიზმს.

ბ) რეალიზმს.

გ) რომანტიზმს.

დ) პოსტმოდერნიზმს.

(1) **3. რას ნიშნავს სიტყვა** *უილაჯობა?*

ა) ავადმყოფობას.

ბ) გამძლეობას.

გ) გულგრილობას.

დ) უღონობას.

(1) **4. რის თქმა სურს მოჯამაგირეს სიტყვებით:** *„შენ რა გეპრიანება“?*

ა) შენ რატომ არ უვლიო.

ბ) შენ ვინ გეკითხებაო.

გ) შენზე ნაკლები ვინ არისო.
დ) შენ ჭკუას ვის ასწავლიო.

(1) **5. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?**

ა) „ვერა ჰხედავ, ტყეში ბალახი მუხლამდეა“.
ბ) „მიგიღძვია საცოდავები წნელით ურემზედ.“
გ) „ნამუსის ქუდი აგიხდია და ლაფში გადაგიგდია“.
დ) „პირუტყვები იქავ ურმის თვალთან ეყარნენ“.

(1) **6. რაზე მიუთითებს გიორგის სიტყვები:** *„ჩემი რომ იყო, ცარიელ ჰურის ჭამის ფასადაც არ შეგინახავდი“?*

ა) ბატონის პატივისცემასა და ერთგულებაზე.
ბ) მეტისმეტ სიმკაცრესა და შეუწყნარებლობაზე.
გ) მოჯამაგირეების შრომის დაუფასებლობაზე.
დ) შრომის სიყვარულსა და დაფასებაზე.

(1) **7. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული მონაკვეთში:** *„...ალვის ხესავით წინ გამემართაო“?*

ა) გაპიროვნება.
ბ) ეპითეტი.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

(1) **8. მოჯამაგირის რა თვისება ჩანს მის მიერ ომარაშვილისთვის ნათქვამ სიტყვებში:** „მაგდენს რას უდებ ურემსაო?.. სხვასაც ხომ მაგდენს მოსთხოვენო“?

ა) გაბედულება.
ბ) თვალთმაქცობა.
გ) სიმხდალე.
დ) წინდახედულება.

(1) **9. რა იგულისხმება სიტყვებში** *„პირიანი ბიჭია“?*

ა) კარგი მოსაუბრეა.
ბ) მამაცია.
გ) მიმზიდველი გარეგნობისაა.
დ) პატიოსანია.

(1) **10. რას გულისხმობდნენ მოსამართლეები, როცა ოთარაანთ ქვრივზე იფიქრეს:** *„გუბერნატორამდე ივლისო“?*

ა) გაბრაზდება და სამსახურიდან დღესვე გაგვყრისო.
ბ) იმდენს იზამს, თვით გუბერნატორს გაიცნობსო.

გ) მთავრობის დახმარებით მოჯამაგირეზე შურს იძიებსო.
დ) ყველაფერს გააკეთებს და სამართალს იპოვისო.

(1) **11. მოსამართლეების რა კონკრეტული თვისება ჩანს მონაკვეთში:** *„ომარაშვილის გულის მოგებაც უნდოდათ, ერთს სადილს მაინც გვაჭმევსო...“?*

ა) ანგარება.
ბ) სიმხდალე.
გ) შემწყნარებლობა.
დ) შორსმჭვრეტელობა.

(34) **12. დაწერეთ თხზულება თემაზე:**
როგორია საზოგადოების დამოკიდებულება იმ ადამიანის მიმართ, რომელიც „სხვის საქმეში ერევა“.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტის მოცემულ მონაკვეთში ეს პრობლემა და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.
ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.
გაითვალისწინეთ:
ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.
ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

ტექსტი II.

ყურადღებით წაიკითხეთ გივი გეგეჭკორის ლექსი „ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?“:

ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?
ვინ მენავეა?
იმისი ნავი სად დაცურავს ან სად აბია?
იგი ჩვენს ნავში როდის იჯდა?
და თუკი იჯდა,
თუ გარჯილა და ნავში წყალი თუ უხაპია?

სად იყო მაშინ, როცა ხეზე ავიდა ფითრი?
რად მივაჩნივართ ყველა ბრიყვებად.
ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს?
ის ხომ არ არის,

მისი სიმძიმით ვინც უთუოდ მოიდრიკება?

თუ მატიანის ფოლიანტზე არ გაიჭყლიტა,
რა ქნა ისეთი, რომ იმისთვის სხვა რამ მცირეა?
ო, ეკლის გვირგვინს იქნებ იგი ეპოტინება,
ვინც ხალხს ზვარაკად ვერასოდეს შეეწირება?

ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს,
ვინც სხვებს ზევიდან
ისე დაჰყურებს, როგორც თაგუნებს?
ვისაც ჰგონია, რომ საქართველო
მისი რჩეული სიყვარულის ღირსია მხოლოდ
და გულზე ხელებს ვინც იბრაგუნებს?

მამულს თავისი სიყვარული რომ უწყალობა,
ჩვენ მადლობლები უნდა ვიყოთ...
არა ჰყოლია
უფრო ერთგული შვილი მამულს და მას ეკუთვნის
მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის მონოპოლია.

ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვისი მახვილიც
უგნურება და უმეცრება არის რეგვენთა?
ვისაც ჰგონია, რომ ამაგი არ დაუფასეს
და ვისაც უნდა მის გარშემო შექმნას ლეგენდა?

სად არის მისი აგებული სვეტიცხოველი?
თაყვანისცემით გაბერილმა პარანოიკმა
გულუბრყვილონი როგორ უნდა დაიმორჩილოს,
რომ განდიდების წყურვილი და ჟინი მოიკლას?

ო, ნუთუ იგი იმ იმედით დაიარება,
რომ გაჩუმდება და არავინ არაფერს იტყვის?
ვინც არის-მეთქი მხოლოდ სახელს დახარბებული,
ის ხომ არ იდგამს წამებულის ეკლიან გვირგვინს?

ვინ ცდილობს ხალხი შეცდომაში რომ შეიყვანოს?
ვით შეიფერებს ეკლის გვირგვინს თავი სახედრის?
ამ ქვეყანაზე თავის ფუსფუსს,
თავის ღოღიალს,
თავის უბადრუკ არსებობას რატომ გვაყვედრის?

ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვინც ქვეყანაზე
დაბადებული არის მლიქვნელად?
საითაც ქარი დაუბერავს, ვინც მხოლოდ იქით
გადაყვლეფილი სინიდისით გადიზნიქება?

ის ხომ არ იდგამს ეკლის გვირგვინს, ვინც კაცს გულგრილად

გულს უხეთქავს და მერე უხდის საკადრის ქელეხს?
ო, ეკლის გვირგვინს ვისი ხელი ეპოტინება,
რა უნდა მასთან ანგარებით დაკრუნჩხულ ხელებს?

ო, ვინც განცხრომას ვერასოდეს ვერ შეელევა,
ტანჯვა არ იცის და ერთობა სხვებზე ქირქილით,
ის ხომ არ არის?
დააკვირდით...
ვის უნდა თავი,
რომ დაიმშვენოს წამებულის ეკლის გვირგვინით?..

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი და შემოხაზეთ. მონიშნული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

(1) **2. რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით:** „ნავში წყალი თუ უხაპია?“

ა) გაისარჯა თუ არა ჩასაძირად განწირული ნავის გადასარჩენად.
ბ) მიუძღვის თუ არა დამსახურება საზოგადოების წინაშე.
გ) მონაწილეობდა თუ არა ზღვიდან ადამიანების გამოყვანაში.
დ) შეიტანა თუ არა წვლილი ქვეყნის კულტურულ აღმავლობაში.

(1) **3. რას ნიშნავს:** „მატიანის ფოლიანტი“?

ა) საისტორიო წყაროს.
ბ) უფლის ნებას.
გ) ხალხის სამსჯავროს.
დ) ხელმწიფის სამართალს.

(1) **4. როგორია ავტორის დამოკიდებულება იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც:** „მამულს თავისი სიყვარული... უწყალობა“?

ა) აღტაცებული.
ბ) ირონიული.
გ) კეთილგანწყობილი.
დ) მიმტევებლური.

(1) **5. ჩამოთვლილთაგან რომელია მხატვრული საშუალება**?

ა) „...ვინც ქვეყანაზე დაბადებული არის მლიქვნელად?“
ბ) „...ვისი მახვილიც უგნურება და უმეცრება არის რეგვენთა“.
გ) „...სიყვარულის ღირსია მხოლოდ და გულზე ხელებს ვინც იბრაგუნებს?“
დ) „...ტანჯვა არ იცის და ერთობა სხვებზე ქირქილით“.

(1) **6. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში:** „მას ეკუთვნის მხოლოდ სამშობლოს სიყვარულის მონოპოლია“?

ა) ზოგიერთს ჰგონია, რომ სამშობლოს სიყვარულზე ერთპიროვნული უფლება აქვს.
ბ) პატრიოტი მხოლოდ ის არის, ვინც სამშობლოს დაუფიქრებლად შეეწირება.
გ) საზოგადოება ვალდებულია პატრიოტის მიმართ მადლიერებას გამოხატავდეს.
დ) სამშობლოს სიყვარული მხოლოდ ღირსეული მოქალაქის პრივილეგიაა.

(1) **7. რომელი ადამიანური მანკიერება იგულისხმება სტრიქონში:** „და ვისაც უნდა მის გარშემო შექმნას ლეგენდა“?

ა) ამპარტავნობა.
ბ) გულგრილობა.
გ) დაუნდობლობა.
დ) სიმხდალე.

(1) **8. რა აზრს გამოხატავს ავტორის მიერ დასმული შეკითხვა:** „სად არის მისი აგებული სვეტიცხოველი“?

ა) მას ხალხმა ამაგი არ დაუფასა.
ბ) მას მნიშვნელოვანი არაფერი გაუკეთებია.
გ) მისი ნაღვაწი დრომ გაანადგურა.
დ) მისი შემოქმედება საზოგადოებამ არ მიიღო.

(1) **9. რომელი თვისება იგულისხმება სიტყვებში: „**ვინც კაცს გულგრილად გულს უხეთქავს და მერე უხდის საკადრის ქელეხს“?

ა) თავდაჯერებულობა.
ბ) თვალთმაქცობა.
გ) უნიათობა.
დ) წინდაუხედაობა.

(1) **10. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში:** „გადაყვლეფილი სინიდისი“?

ა) სინდისზე ხელის აღებას.
ბ) სინდისით აღძრულ სინანულს.
გ) სინდისით გამოწვეულ ტანჯვას.
დ) სინდისის კარნახით ცხოვრებას.

(1) **11. რა საშუალებას იყენებს ავტორი მკითხველზე ემოციური ზემოქმედების მოსახდენად?**

ა) რიტმულ ალიტერაციას.
ბ) რიტორიკულ შეკითხვას.
გ) პერიფრაზს.
დ) ციტირებას.

(34) **12. დაწერეთ თხზულება თემაზე:**

პატრიოტიზმი ზოგჯერ განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანების თავშესაფრად იქცევა ხოლმე.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ლექსში ეს პრობლემა და რამდენად აქტუალურია იგი დღეს.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მაგალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანაწევრებული; შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული. ***გაითვალისწინეთ:*** *ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოიფარგლება ოთხი-ხუთი წინადადებით.* *ნაშრომი, რომლის მოცულობა <u>არ აღემატება 150 სიტყვას,</u> ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.*